

მადელინ ბილერი



გამომცემლობა  
პალიტრა L

„გამომცემლობა პალიტრა L“ პროექტით  
„წლის ბესტსელერი“ მკითხველს სთავაზობს უახლესი  
მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს.  
თითოეული წიგნი და ავტორი არაერთი პრესტიჟული  
ლიტერატურული ჯილდოს მფლობელია. ბუკერის, ნობელის,  
პულიცერის, გონკურების, IMPAC-ის, სერვანტესის  
პრემიის ლაურეატი მწერლები და წიგნები კრიტიკოსებმა  
გამორჩეულად შეაფასეს და წლის ბესტსელერებად  
აღიარეს.

### სარედაქციო ჯგუფი


ლია შარვაშიძე  
სალომე საბანაძე  
მანანა დაუშვილი  
მარინე ინანიშვილი  
ნატალია ახვლედიანი  
ლევან ლაცაბიძე  
ანა კოპაძე

Originally published as CIRCE by Madeline Miller  
Copyright © 2018 by Madeline Miller

© გამომცემლობა პალიტრა L, 2020

ყველა უფლება დაცულია

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. 49

 238-38-71

 [book@palitra.ge](mailto:book@palitra.ge)

 [www.palitra.ge](http://www.palitra.ge)

ISBN 978-9941-32-516-8



# მაღალინ მილერი



ინგლისურიდან თარგმნა  
სალომე ჩიტაძემ



ნათანიელს

νóστος<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> *Νóστος* (ძვ. ბერძ.) – თემა ძველ ბერძნულ ლიტერატურაში, რომლის პერსონაჟი ეპიკური გმირია, შინ ზღვით რომ ბრუნდება. ძველ ბერძნულ საზოგადოებაში ეს გმირობის უმაღლეს დონედ ან სახელად ითვლებოდა მათთვის, ვინც დაბრუნება შეძლო.

# თავი 1



როცა ღაპნიბადე, ჩემი არსების აღმნიშვნელი სიტყვა არ არსებობდა. ნიმფას მეძახდნენ, ეგონათ, დედაჩემს, დეიდებსა და ათასობით დეიდაშვილს დავემსგავსებოდი. უმნიშვნელო ქალღმერთებში ყველაზე უმნიშვნელოებს იმდენად მცირე ძალა გვექონდა, ძლივს ჰყოფნიდა სამუდამო სიცოცხლეს. თევზებს ვესაუბრებოდით და ყვავილებს ვახარებდით, ღრუბლებს წვეთებს ვესესხებოდით, ტალღებს კი – მარილს. ეს სიტყვა, ნიმფა, ჩვენს მომავალს მთელ სიგრძე-სიგანეზე გაჰყვებოდა. ჩვენს ენაზე ეს სიტყვა არა მარტო ქალღმერთს ნიშნავს, არამედ *პატარძალსაც*.

დედაჩემი ერთ-ერთი მათგანი გახლდათ, ნაიადა, შადრევნებისა და ნაკადულების მცველი. მამაჩემს თვალში მაშინ მოხვდა, როდესაც სტუმრად მისული, მისი მამის, ოკეანოსის დერეფნებში შეეჩეხა. ჰელიოსი და ოკეანოსი იმ დროს ხშირად სტუმრობდნენ ერთმანეთს, რადგან ბიძაშვილები იყვნენ, თანაც ერთი ასაკისანი, თუმცა გარეგნობით ამას ვერ იტყოდით. მამაჩემი ისეთივე ბრწყინვალე იყო, როგორიც ახალჩამოსხმული ბრინჯაო, ოკეანოსი კი ამღვრეული თვალებითა და ჭიპამდე ჩამოსული ჭალარა წვერით დაიბადა. თუმცა ორივენი ტიტანები იყვნენ და ერთმანეთის გარემოცვაში ყოფნა ერჩივნათ ოლიმპოზე მცხოვრებ იმ ახალგაზრდა ღმერთებთან ბაასს, სამყაროს შექმნას რომ არ მოსწრებოდნენ.

ოკეანოსის სასახლე ნამდვილი საოცრება გახლდათ, კლდეში ღრმად ნაკვეთი. მაღალთალიანი დერეფნები ოქროთი იყო დაფარული, ქვის იატაკი კი საუკუნეების განმავლობაში მასზე მოსიარულე ღვთიური ფეხებით მოსიპული. ყველა ოთახში ისმოდა ოკეანოსის მდინარის ჩუმი

დღეღვა, რომელიც მსოფლიოს სუფთა წყლით ამარაგებდა. მდინარე ისეთი მუქი გახლდათ, რთული იყო გარჩევა, სად ერწყმოდა კლდეს. მის ნაპირებთან ბალახი და ნაცრისფერი ნაზი ყვავილები ხარობდა და მათთან ერთად იზრდებოდა ოკეანოსის უთვალავი შვილი, ნაიადები, ნიმფები და მდინარის ღმერთები. წავის კანივით სლიპინა, მოლიმარი, მუქ ჰაერთან კონტრასტში მყოფი, განათებული სახეებით, ერთმანეთს ოქროს თასებს გადასცემდნენ და ჭიდაობდნენ, სიყვარულობანაში ვარჯიშობდნენ. მათ შორის იჯდა დედაჩემი, რომელიც მათ თეთრ სილამაზეს ჩრდილავდა.

მოოქროსფრო-ყავისფერი თმა ჰქონდა, თითოეული ღერი იმდენად უბრწყინავდა, გეგონებოდათ, შიგნიდან ანათებსო. ალბათ, მამაჩემის მზერა იგრძნო, კოცონიდან ამოვარდნილი ნაპერწკალივით ცხელი. წარმომიდგენია, როგორ ისწორებს კაბას, რომელიც მხრებზე გადაჰფენია. ვხედავ, როგორ ყოფს თითებს მოციმციმე წყალში. ათასჯერ მინახავს მისი ეს და ათასი ამის მსგავსი ხრიკი. მამაჩემი ყოველთვის ტყუედებოდა ამით. სწამდა, რომ მსოფლიოს ბუნებრივი წესრიგი მის საამებლად არსებობდა.

– ეს ვინაა? – ჰკითხა მამაჩემმა ოკეანოსს.

ოკეანოსს მამაჩემისგან უკვე ბევრი ოქროსფერთვალე-ბა შვილიშვილი ჰყავდა და გაუხარდა, როცა იფიქრა, მეტი მეყოლებო.

– ჩემი ქალიშვილი, პერსეიდა. თუ გსურს, შენი იქნება.

მეორე დღეს მამაჩემმა ქალი შადრევანთან იპოვა, ზედა მხარეში. ლამაზი ადგილი იყო, განიერთავება ნარგიზებით მოჩითული, რომლებსაც მუხის ტოტები გადმოჰყურებდა. გარშემო ვერც ნაგავს შეხვდებოდი და ვერც სლიკინა ბაყაყებს, მხოლოდ სუფთა, მომრგვალებულ ქვებს, რომელთა შორისაც ბალახი ამოჩრილიყო. მამაჩემიც კი, რომელსაც სულაც არ ანალვლებდა ნიმფების დახვეწილი ხელოვნება, აღმერთებდა ამ ადგილს.

დედაჩემმა იცოდა, რომ მივიდოდა. შეიძლება სუსტი ყოფილიყო, მაგრამ ცბიერიც გახლდათ და გველთევზას

კბილებივით ბასრი გონება ჰქონდა. კარგად ხედავდა, მის მსგავსებს როგორ შეეძლოთ ძალაუფლების ხელში ჩაგდება, ეს კი ნაბიჯურებითა და მდინარის პირას ცელქობით ვერ მოხერხდებოდა. მთელი თავისი დიდებულებით კაცი წინ რომ გადაუდგა, დასცინა: „შენთან დავწვე? ვითომ რატომ?“

მამაჩემს, ცხადია, შეეძლო ის მიეღო, რაც სურდა, მაგრამ ჰელიოსი იმით ამაყოფდა, რომ ყველა ქალი თავისი სურვილით უწევბოდა, მონებიცა და ქალღმერთებიც. ამის დასტურად მისი სატრაპეზო მაგიდაც გამოდგებოდა, რომელიც სავსე იყო დიდმუცლიანი დედებისა და უკანონო შვილების შესანიშნავით.

– ან ვიქორწინებთ, – უთხრა კაცს, – ან არაფერი გვექნება... და თუკი ვიქორწინებთ, ეს იცოდეთ: მინდორში იმდენ ქალთან შეგიძლია დაწოლა, რამდენთანაც მოგინდება, თუმცა შინ არავის მოიყვან. შენს დერეფნებში მხოლოდ მე ვივლი.

*პირობები, შეზღუდვა.* ეს ყველაფერი მამაჩემისთვის სიახლე იყო, ღმერთებს კი სიახლეზე მეტად არაფერი უყვართ.

– შევთანხმდით, – უპასუხა მან და ფიცის დადების სიმბოლოდ თავისი გაკეთებული, უიშვიათესი ქარვის ყელსაბამი აჩუქა. მოგვიანებით, მე რომ გაეჩნდი, ყელსაბამს მეორე ასხმა მიამატა და თითოც – ჩემი სამი დედმამიშვილის გაჩენის შემდგომ. არ ვიცი, რას უფრო აფასებდა დედა: კამკაშა მიძივებს თუ შურს, რომელსაც ამ სამკაულით დებში აღძრავდა. ვფიქრობ, უსასრულოდ გააგრძელებდა მათ შეგროვებას, სანამ ისე არ ჩამოეკიდებოდა ყელზე, როგორც ხარს უღელი, მაღალ ღმერთებს რომ არ შეეჩერებინათ. ამ დროისთვის უკვე გაიგეს, რა შვილებიც ვიყავით ჩვენ ოთხნი. „შეგიძლია შვილები კიდევ გააჩინო, – უთხრეს ქალს, – ოღონდ მასთან აღარ“, მაგრამ სხვა ქმრები ქარვის მიძივებს არ ჩუქნიდნენ. მხოლოდ მაშინ ვნახე ატირებული დედაჩემი.

\* \* \*

ჩვილი დეიდაჩემმა – მისი სახელით გონებას არ დაგიტვირთავთ, რადგან ჩემს ამბავში უამრავი დეიდაა გარეული – გამბანა და ნაჭრებში გამახვია. მეორე დეიდა დედაჩემს უვლიდა, ფერწასულ ტუჩებს წითლად უღებავდა და სპილოს ძვლის სავარცხლით უვარცხნიდა თმას. მესამე კართან მივიდა, რათა მამაჩემი შემოეყვანა.

– გოგოა, – უთხრა დედამ და ცხვირი შეჭმუხნა.

თუმცა მამას სულაც არ ანაღვლებდა, თუ სათნო ქალიშვილები ეყოლებოდა, ისეთივე ოქროსფერთმიანები, როგორიც ახალგაკვირტული ზეთისხილი. კაცებიცა და ღმერთებიც ბევრს გასცემდნენ, თუკი მათი სისხლი გამრავლდებოდა, მამაჩემის სიმდიდრისა კი ღმერთების მეფესაც შეშურდებოდა. კურთხევის მიცემის ნიშნად თავზე ხელი დამადო.

– შესანიშნავად დავანყვილებთ, – თქვა მან.

– რამდენად შესანიშნავად? – დედაჩემს ყველაფრის გაგება სურდა. თუ რამე უკეთესში გამცვლიდნენ, გულს დაიმშვიდებდა.

მამაჩემი ჩაფიქრდა, თმაზე ხელი ჩამომატარა და ჩემს თვალებსა და ლოყების მოყვანილობას დააკვირდა.

– ალბათ, მეფისნულზე.

– მეფისნულზე? – თქვა დედაჩემმა, – შენ რა, მოკვდავს გულისხმობ?

სახეზე ზიზლი გამოეხატა. ერთხელ, როცა ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, ვიკითხე, როგორ გამოიყურებოდნენ მოკვდავები. მამაჩემმა მიპასუხა: „*შეიძლება ითქვას, ჩვენი მსგავსები არიან, მაგრამ ისე, როგორც ჭიაყელა ჰგავს ვეშაპს*“.

დედამ უფრო მარტივი პასუხი გამცა: „*დამპალი ხორცის უხეში ტომრებივით*“.

– რა თქმა უნდა, ზევსის ვაჟზე დაქორწინდება, – იჟინებდა დედაჩემი. უკვე წარმოედგინა, როგორ ინადიმებდა ოლიმპოზე, დედოფალ ჰერას მარჯვნივ მჯდარი.



– არა. ფოცხვერივით უხეში თმა აქვს, მისი წამახული ნიკაპი კი ნამდვილად არაა სასიამოვნო სანახავი.

დედაჩემი ბევრს არ ეკამათებოდა ხოლმე. როგორც ყველამ, მანაც იცოდა ჰელიოსის ხასიათის ამბავი, როცა ბრაზობდა. „რაც უნდა ოქროსფრად ბრწყინავდეს, ნუ დაივინყებ მის ცეცხლს“.

მალე ადგა. მუცელი აღარ ეტყობოდა, წელი გაუმაგრდა და ლოყები ისე შეეფაკლა, როგორც ქალწულს. ჩვენი ჯიმი ძალიან სწრაფად ჯანსაღდება, ის კი სხვებზე სწრაფი აღმოჩნდა, ოკეანოსის ერთ-ერთი ქალიშვილი, რომელიც ქვირითივით ყრიდა ბავშვებს.

– ნამოდი, – თქვა მან, – უკეთესი გავაკეთოთ.

\* \* \*

სწრაფად გავიზარდე. ჩემი ჩვილობა საათებში გავიდა და ბავშვობაც ზედ მიჰყვა. დეიდაჩემი დარჩა. იმედი ჰქონდა, რომ დედაჩემი თავს მისგან დავალებულად იგრძნობდა. მან დამარქვა *შევარდენი*, კირკე, რადგან ყვითელი თვალები მქონდა და უცნაური, წვრილი ხმით ვტიროდი. თუმცა როგორც კი მიხვდა, რომ დედა მის სამსახურსაც ისევე ამჩნევდა, როგორც ფეხქვეშ დაგებულ იატაკს, გაუჩინარდა.

– დედა, – ვუთხარი, – დეიდა ნავიდა.

არ უპასუხია. მამაჩემი უკვე გამგზავრებულიყო ეტლით ცაში და ქალი თმას ყვავილებით იმშვენებდა, ემზადებოდა წყლის საიდუმლო გზებით სასახლიდან გასასვლელად, რათა დებთან ერთად დამტკბარიყო მდინარის პირას აბიზინებული ბალახით. შემეძლო გავყოლოდი, მაგრამ მაშინ მთელი დღე დეიდაჩემების ფეხებთან უნდა ვმჯდარიყავი და იმ ჭორებისთვის მესმინა, რომლებიც არ მაინტერესებდა და არ მესმოდა. ამიტომ დავრჩი.

მამაჩემის სასახლეში ბნელი და ჩუმი დერეფნები იყო. ოკეანოსის მეზობლად ვცხოვრობდით, კლდეში ჩამარხულები. კედლები ობსიდიანის ქვით იყო მოპირკეთებული. რატომაც არა? მამაჩემს რომ მოენდომებინა, ნებისმიე-

რი მასალით მოაპირკეთებდნენ, ეგვიპტური სისხლივით წითელი მარმარილოთი თუ არაბული ბალზამით, მაგრამ მოსწონდა, როგორ ისხლექდა ობსიდიანი მის სინათლეს, როგორ იჭერდა სლიპინა ზედაპირი ცეცხლს, როცა დერეფანში ჩაივლიდა. რა თქმა უნდა, იმაზე არ დაფიქრებულა, რამდენად ჩაჟამდებოდა ყველაფერი, როცა თვითონ სასახლეში არ იქნებოდა. მამაჩემს ვერასდროს წარმოედგინა სამყარო საკუთარი თავის გარეშე.

ასეთ დროს იმის გაკეთება შემეძლო, რაც მსურდა: ჩირაღდანს ვანთებდი და გავრბოდი, რათა დამენახა, როგორ მომდევდა მუქი ალი. მოსწორებულ მინაზე ვწვებოდი და თითებით ორმოებს ვთხრიდი. შიგნით მატლები და ჭიები არ შემხვედრია, თუმცა იმ დროს არ ვიცოდი, რომ იქ უნდა ყოფილიყვნენ. იმ დერეფნებში არაფერი ცოცხლობდა ჩვენ გარდა.

ლამით მამაჩემი რომ დაბრუნდებოდა, მინა ისე იწყებდა ცახცახს, როგორც ცხენის ფერდი, და ჩემი ამოთხრილი ორმოები თავისით სწორდებოდა. რამდენიმე წუთში დედაჩემიც ბრუნდებოდა, ყვავილების სუნით გაჟღენთილი. მის მისასალმებლად გაიქცეოდა, კაცი კი უფლებას აძლევდა კისერზე ჩამოჰკიდებოდა, ღვინოს მიართმევდა და დიდებულ მოვერცხლილ საკარცხულში ჩაჯდებოდა. მეც კუდში მივყვებოდი. *„კეთილი იყოს შენი დაბრუნება, მამა, კეთილი იყოს“.*

ღვინის სმასთან ერთად შაშს თამაშობდა. მასთან თამაშის უფლება არავის ჰქონდა. ქვის ფიგურებს გაანანილებდა, დაფას მოატრიალებდა და ფიგურების დალაგებას განაგრძობდა. დედაჩემი ხმას დაითაფლავდა:

– არ დანვები, ჩემო სიყვარულო? – მის წინ ზღაზვნით ტრიალებდა და სხეულის სიქორფეს ისე აჩვენებდა, თითქოს შამფურზე ბრანავდნენ. უფრო ხშირად მამა თამაშს მიატოვებდა, მაგრამ ხანდახან რჩებოდა, ეს კი ჩემი საყვარელი მომენტები იყო, რადგან დედაჩემი ოთახიდან გადიოდა და ხის კარს მოაჯახუნებდა.